პროგრამის სახელწოდება: ფრჩხილის დამუშავება და დაფარვა გელ-ლაქით

პროგრამის სახე: პროფესიული მომზადება

ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონე: მესამე

პროგრამის ხანგრძლივობა კვირებში: 8 კვირა

კვირეული სასწავლო საათობრივი დატვირთვა: 25 სთ

სულ საკონტაქტო საათების რაოდენობა - 180 სთ

მსმენელთა რაოდენობა ჯგუფში:

მინიმალური -5 **მაქსიმალური** --10

პროგრამაზე დაშვების წინაპირობა: საბაზო განათლება

პროგრამის მიზნები: პროგრამის მიზანია მოამზადოს შრომის ბაზრის მოთხოვნის შესაბამისი კომპეტენციის მქონე კადრი, რომელიც შეძლებს: ფრჩხილის მომსახურებისათვის სამუშაო სივრცის მოწყობას სანიტარულ-ჰიგიენური ნორმებისა და უსაფრთხოების წესების დაცვით; აღჭურვილობის, სამუშაო ინვენტარის და მასალების განთავსება/მოხმარება/მოვლას; ფრჩხილის მდგომარეობის შეფასებას, საჭირო პროცედურების ჩატარებას პირველადი და საბოლოო დამუშავებისას; ფრჩხილის დაფარვას გელ-ლაქით კლიენტის მოთხოვნების გათვალისწინებით და პროცედურების დაცვით.

პროფესიული მომზადების პროგრამის გავლის შედეგად მიღებული ცოდნა/უნარებით კურსდამთავრებული შეძლებს: დასაქმებას კერძო სექტორში, და/ან შესაძლოა გახდებს თვითდასაქმებულიც.

სწავლის შედეგები:

1. ორგანიზაციული მოწყობის პრინციპები. სამუშაო ადგილის მოწყობა უსაფრთხოებისა და ჰიგიენის ნორმების დაცვით;
2. მასალების, სამუშაო იარაღებისა და აღჭურვილობის მოხმარება/განთავსების ნორმები;
3. ფრჩხილის პირველადი დამუშავება და ფორმის მიცემა;
4. ფრჩხილის საბოლოო დამუშავება;
5. ფრჩხილის დაფარვა გელ-ლაქით.

პროგრამის მოკლე აღწერა: პროგრამაზე სწავლა შეუძლია ყველა დაინტერესებულ სრულწლოვან პირს, რომელიც აკმაყოფილებს დაშვების წინაპირობას და აქვს სურვილი მოკლე დროში შეიძინოს კონკრეტული ცოდნა/უნარები და დასაქმდეს აღნიშნული მიმართულებით.

პროფესიული მომზადების პროგრამის ხანგრძლივობა შეადგენს 8 კვირას, კვირეული დატვირთვა: I-VII კვირა - 25 სთ, VIII კვირა-5 სთ; სულ 180 სთ. პროფესიული მომზადების პროგრამით გათვალისწინებულია როგორც თეორიული ცოდნის შეძენა, ასევე პრაქტიკული

უნარების განვითარება. სწავლება განხორციელდება სამუშაოზე დაფუძნებული მეთოდოლოგიით, მაღალი კვალიფიკაციის და პრაქტიკული გამოცდილების მქონე სპეციალისტის მიერ. სწავლის შედეგების მიღწევა განხორციელდება I-IV კვირა - კოლეჯის ბაზაზე, სტანდარტის მოთხოვნის შესაბამისად აღჭურვილ სასწავლო აუდიტორიაში. V- VII კვირა -რეალურ სამუშაო გარემოში პარტნიორი საწარმოს ბაზაზე.

სწავლებისა და შეფასებისთვის გამოყენებული იქნება პროგრამის სპეციფიკის შესაბამისი მეთოდები (ლექცია, დემონსტრირება, პრაქტიკული სავარჯიშო, პრაქტიკული მეცადინეობა, პრაქტიკული დავალება-დაკვირვებით.)

სწავლების ბოლო VIII კვირას, მიღწეული სწავლის შედეგების დასადასტურებლად, ჩატარდება შეფასება პრაქტიკული დავალება-დაკვირვებით.

პროფესიული მომზადების პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევის შემდეგ კურსდამთავრებული მიიღებს კვალიფიკაციის დამადასტურებელ, სახელმწიფოს მიერ აღიარებულ სერთიფიკატს - დანართით, რომელშიც ფიქსირდება პირის მიერ პროგრამის ფარგლებში მიღწეული ცოდა და უნარები.